N 01/2459
11/05/2021

2459-01-2-202105111737

ქ.თბილისი

M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორი ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში - პაატა ბეჟანიშვილი;

კომისიის წევრი, გენერალური დირექტორის მრჩეველი - გიორგი ბეჟიაშვილი;

კომისიის წევრი, დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში - რევაზ მოსეშვილი;

კომისიის წევრი, დირექტორი ფინანსურ საკითხებში - მაია ხაჩირაშვილი;

კომისიის წევრი, დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში - მალხაზ ჩარკვიანი;

კომისიის წევრი, დირექტორი მეტროპოლიტენისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციის საკითხებში - გრიგოლი ხუცურაული;

კომისიის წევრი, დირექტორი (მთავარი ინჟინერი) - გიორგი ტალახაძე;

კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - ანნა ლომჯარია;

კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - გიორგი დოლიძე;

კომისიის სხდომის მდივანი, აპარატის წევრი, შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - დაჩი კობახიძე.

სხდომას არ ესწრებოდა:

კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი - გიორგი შარკოვი.

დღის წესრიგი:

- ელექტრონული ტენდერის **(აუქციონის გარეშე)** საშუალებით, **M2 კატეგორიის ავტობუსების (NAT210006122)** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის (ს/ნ206276340)** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა/შეფასება და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სტრუქტურული ერთეულების უფროსების დასკვნების განხილვა.

მოისმინეს:

- სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - დაჩი კობახიძის ინფორმაცია, **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის **(აუქციონის გარეშე)** შედეგის შესახებ.

განიხილეს:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 27-ე მუხლის, პირველი პუნქტის

შესაბამისად, **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის, **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სტრუქტურული ერთეულების უფროსების დასკვნები.

აღინიშნა:

- **M2 კატეგორიის ავტობუსების** ელექტრონულ ტენდერში **(აუქციონის გარეშე)** მონაწილე პრეტენდენტმა - **შპს „ჯი-თი მოტორსმა“** სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დააფიქსირა ფასი - **35’729’400 (ოცდათხუთმეტი მილიონ შვიდასოცდაცხრა ათას ოთხასი)** ლარი.
- სტრუქტურული ერთეულების უფროსების დასკვნების შესაბამისად, **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) მონაწილე პრეტენდენტის, **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- დანართი №2 - ფასების ცხრილი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ხოლო პრეტენდენტი ითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას უცხოურ ვალუტაში - ევროში.
- **M2 კატეგორიის ავტობუსების** ელექტრონულ ტენდერში **(აუქციონის გარეშე)** მონაწილე პრეტენდენტის **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის** მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია წარმოდგენილია სრულყოფილად, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.
- **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) მონაწილე პრეტენდენტი, **შპს „ჯი-თი მოტორს“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 02 ივლისის №2760 განკარგულების თანახმად დარეგისტრირებულია თეთრ სიაში.
- „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

კომისიამ დაადგინა:

- **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის** მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) გამარჯვებულად გამოვლინდეს **- შპს „ჯი-თი მოტორს“.**
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს **2021 წლის 27 მაისისა** უზრუნველყოს, **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის** მოწვევა და ხელშეკრულების გაფორმება.
- ხელშეკრულების დადებამდე, **შპს „ჯი-თი მოტორს“-მა უნდა წარმოადგინოს:**
    - დანართი №2 (ფასების ცხრილი) უცხოურ ვალუტაში - **ევროში,** ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით ლართან მიმართებაში.
    - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 34-ე მუხლის საფუძველზე, „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2

ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების **უპირობო და გამოუხმობი გარანტია,** გაცემული მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მიერ, ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2.25%–ის** ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ნაკლები (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით აღემატება **საქონლის მიწოდების** საბოლოო ვადას). ამასთან, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს (დაიწყოს) ხელშეკრულების გაფორმების საბოლოო თარიღიდან (2021 წლის 27 მაისიდან).

- აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისთვის შეტყობინებად, რომელიც ეგზავნება პრეტენდენტს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის გზით და რომელიც ითვლება მიღებულად მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

გიორგი ბეჟიაშვილი

გენერალური დირექტორის მრჩეველი

პაატა ბეჟანიშვილი

დირექტორი ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში

რევაზ მოსეშვილი

დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში

გიორგი ტალახაძე

დირექტორი (მთავარი ინჟინერი)

გიორგი დოლიძე

სამსახურის უფროსი

დაჩი კობახიძე

ტენდერებისა და ანგარიშგების მთავარი სპეციალისტი

გრიგოლი ხუცურაული



დირექტორი მეტროპოლიტენისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციის საკითხებში

ანნა ლომჯარია



სამსახურის უფროსი

მაია ხაჩირაშვილი



დირექტორი ფინანსურ საკითხებში

მალხაზ ჩარკვიანი

დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში